2020

ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

European Investment Bank Group

ესტონეთისთვის სუფთა ენერგიის და ლესოთოსთვის სუფთა წყლის მიწოდებით თუ უკეთესი საავადმყოფოს მოწყობით ხორვატიაში, ევროპის საინვესტიციო ბანკი მილიონობით ადამიანისათვის უკეთეს ცხოვრებას უზრუნველყოფს ყოველ წელს.

როგორც ევროპის კლიმატის ქმედებებში ჩართული ბანკი, ჩვენ ვეხმარებით პარიზის შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მსოფლიოს. ჩვენ ვასრულებთ პირობას შევქმნათ 1 ტრილიონი ევროს ინვესტიცია კლიმატის სფეროში შემდეგი ათწლეულის მანძილზე.

1958 წლიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ ათასობით პროექტისთვის 160-ზე მეტ ქვეყანაში გამოყოფილია სესხი და ექსპერტული საკონსულტაციო მხარდაჭერა. ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციას ევროპის მომავალში ევროკომისიასა და სხვა მრავალ ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

წარმოვადგენთ რა ყველაზე მსხვილ მრავალმხრივ და გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ სესხის გამცემს, ჩვენ ვეხმარებით ქვეყნის ეკონომიკებს აყვავებაში, ვქმნით სამუშაო ადგილებს და ხელს ვუწყობთ თანასწორობას. ჩვენ შესრულებულ სამუშაოს ვზომავთ საზოგადოებისათვის გაწეული დახმარების მოცულობით, ვინაიდან თითოეული განხორციელებული ინვესტიციის მიზანი ცხოვრების გაუმჯობესებაა.

რიეკაში, ხორვატია, ახალი დედისა და ბავშვისათვის განკუთვნილი საავადმყოფო ყოფას უმსუბუქებს 600,000 ადამიანს. აღნიშნული დაფინანსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხით და ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროკომისიის საკონსულტაციო მხარდაჭერით.

ჩვენი ზემოქმედება 2019 წელს

280	მილიარდი ევროს ინვესტიციის დაფინანსება ევროპის საინვესტიციო ბანკის საქმიანობის ფარგლებში
72.2	მილიარდი ევრო ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის დაფინანსება
1 095	ხელმოწერილი პროექტი
50.3	მილიარდი ევრო ობლიგაციების ბაზრებიდან
25	მილიარდ ევროზე მეტი დაფინანსება მცირე ბიზნესისათვის
19	მილიარდ ევროზე მეტი კლიმატთან დაკავშირებული ქმედებისათვის
16	მილიარდ ევროზე მეტი გარემოს დაცვისათვის
14	მილიარდ ევროზე მეტი ინოვაციის სტიმულირებისათვის
4.4	მილიონი სამუშაო ადგილის მხარდაჭერა მცირე ბიზნესში
10	მილიონი ადამიანისთვის უფრო უსაფრთხო სასმელი წყალი
12	მილიონი ადამიანისთვის უკეთესი ჯანმრთელობის დაცვა
7.4	მილიონი ოჯახისათვის წვდომის უზრუნველყოფა ელექტროენერგიაზე
117	მილიონი ადამიანისთვის უკეთესი მობილური კავშირი
631	მილიონი დამატებითი მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით
1.7	მილიონი ადამიანისათვის წყალდიდობის შემცირებული რისკი
5.1	მილიონი კვ.მ ენერგოეფექტური შენობა

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ 2019 წელს მხარდაჭერილი პროექტების დახმარებით ხდება 13,177 მგვტ ენერგიის წარმოება, რაც საკმარისია 7.4 მილიონი ოჯახისათვის.

კლიმატი

კლიმატი წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას ჩვენი თაობისათვის. ის განაპირობებს ჩვენი შვილების ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას მომავალში. ჩვენი კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული მიზნები ახალ სტანდარტებს ადგენს ევროპაში და მის საზღვრებს გარეთ. უახლოეს მომავალში ჩვენ შევწყვეტთ წიაღისეული საწვავის დაფინანსებას და ჩვენი ინვესტიციების 50%-ს მივუძღვნით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ქმედებებსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობის ქმედებებს.

ჩვენ ვეხმარებით საზოგადოების მოწყვლად ნაწილს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგების დაძლევაში, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრადი ფერმერული საქმიანობის ხელშეწყობაში. ჩვენ ასევე ვზრუნავთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე და ვმოქმედებთ მომავალი თაობებისათვის გარემოს უსაფრთხო ადგილად გადასაქცევად. ჩვენი ყველა ქმედება ითვალისწინებს კლიმატზე ფიქრს. ნებისმიერი პროექტი, რომელსაც ჩვენ ვაფინანსებთ ინოვაციების, მცირე ბიზნესის და ინფრასტრუქტურის სფეროში, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს.

ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით, ესტონური კომპანია „ელკოგენი“ ახდენს ეფექტური და სუფთა სათბობ ელემენტზე მომუშავე ელექტროენერგიის განთავსებას მასობრივ ბაზარზე.

ინოვაცია

ინოვაცია უნარჩუნებს ევროპას კონკურენტუნარიანობას და ქმნის დიდი მნიშვნელობის მქონე სამუშაო ადგილებს. ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი საშუალებას აძლევს ევროპულ კომპანიებს შექმნან უახლესი მაღალი ტექნოლოგიები. ჩვენ ინოვაციურ იდეებს ვაქცევთ წარმატებულ ბიზნესებად.

ბანკი აფინანსებს როგორც ფართომასშტაბიან სამეცნიერო კვლევას, ასევე მცირე, სპეციალიზირებულ ფირმებს. ჩვენი ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ავიაცია, მედიცინა და დიგიტალიზაცია – წარმოადგენს ერთგვარ გარანტს დამატებითი დაფინანსების გამოსაყოფად კერძო სექტორიდან.

ჩვენ ვაფინანსებთ ინოვაციის ბევრ ეტაპს. საბანკო სესხების მხარდაჭერით, უნივერსიტეტებს შეუძლიათ ააშენონ და გააფართოონ საკუთარი კვლევითი ობიექტები, სტარტაპეპს შეუძლიათ გაზარდონ კადრები და გააუმჯობესონ აღჭურვილობა. ჩვენ ვასაზრდოებთ ადამიანის გონებაში აღმოცენებულ იდეებს, რაც სამყაროს საცხოვრებლად უკეთეს ადგილად აქცევს.

იტალიაში, ევროპის საინვესტიციო ბანკისა და „უნიკრედიტ“-ის პიონერული პროექტი აფინანსებს ქალთა მიერ წამოწყებულ ასეულობით ინოვაციურ ბიზნესს.

ჩართულობა

ბანკის მიერ შეთავაზებულია ფინანსური პროდუქტების ფართო სპექტრი შეღავათიანი პირობებით. ჩვენ გავცემთ სესხებს საჯარო და კერძო სექტორებზე. ჩვენ ვაფინანსებთ მცირე ბიზნესებსა და ახალგაზრდებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქალ-მეწარმეებს მათთვის სესხებთან და სალიდერო პოზიციებთან წვდომის მიცემით. ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ნაწილს, თვითდასაქმებულებსა და მიკროსაწარმოებს ისარგებლონ დაფინანსებითა და ბიზნესთან დაკავშირებული რჩევებით. ჩვენ ვაკონტროლებთ, რომ არავინ აღმოჩნდეს უკან ჩამოტოვებული.

ევროპის საინვესტიციო ბანკი არ გასცემს პროექტის ღირებულების ნახევარზე მეტ სესხს. ამ გზით, ჩვენ ვმოქმედებთ როგორც კატალიზატორები კერძო სექტორის მეტი ჩართულობის მისაღწევად, რითიც ხდება პროექტებისათვის ინვესტიციების დონის ზრდა. ჩვენ ასევე ვთავაზობთ ტექნიკურ დახმარებას პროექტის წარმატების უზრუნველსაყოფად.

ევროპის საინვესტიციო ბანკის განვითარების პროექტით ლესოთოში, აფრიკა, დაბლობების ბევრ ნაწილში მცხოვრებ 300,000 ადამიანს მიეწოდება სუფთა სასმელი წყალი და შექმნილია სანიტარული პირობები.

მდგრადობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი ახდენს ფულის მოზიდვას ობლიგაციების გამოცემით საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე. ჩვენი საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ სახსრები კარგი განაკვეთით. ჩვენ გადავცემთ სარგებელს ჩვენს კლიენტებს.

ჩვენმა კაპიტალის ბაზრის ექსპერტებმა შექმნეს და განავითარეს მწვანე და მდგრადი ობლიგაციების ბაზარი. ამჟამად, ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე მსხვილ სუპერნაციონალურ მწვანე ობლიგაციების ემიტენტს. აღნიშნული ობლიგაციებით ფინანსდება განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, სუფთა წყალი და სანიტარია. ჩვენ ვასრულებთ მდგრადი დაფინანსების სამუშაოს.

ვალდებულებები

ჩვენ წარმოვადგენთ გამჭირვალე ორგანიზაციას და ანგარიშვალდებულნი ვართ ყველა ჩვენი საქმიანობისათვის. ჩვენი მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები ბრწყინვალე პარტნიორად გვაქცევს. ჩვენ გვყავს მაღალპროფესიონალი, ერთგული და მრავალფეროვანი ეკონომისტებისგან, ინჟინრებისგან, ფინანსური ანალიტიკოსებისა და კლიმატის სპეციალისტებისგან შემდგარი კადრები, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ ადგილობრივ ექსპერტებთან, ინსტიტუტებთან და მთავრობებთან მსოფლიოში.

დამატებითი ინფორმაციისათვის ჩვენი
შემოთავაზებების შესახებ, ეწვიეთ ვებგვერდს
www.eib.org/products.

ევროპის საინვესტიციო ბანკი
info@eib.org
www.eib.org

European Investment Bank
The EU bank

#Believe InSmall

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი შედგება ევროპის საინვესტიციო ბანკისა (ესბ) და ევროპის საინვესტიციო ფონდისგან (ესფ).

ევროპის საინვესტიციო ბანკი - ევროკავშირის ბანკია. ის წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს მრავალმხრივ მსესხებელს და სესხის გამცემს. ევროპის საინვესტიციო ბანკს, რომლის ცენტრალური ოფისი ლუქსებურგშია, აქვს ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობების ფართო ქსელი ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ.

ევროპის საინვესტიციო ფონდი აფინანსებს მცირე ბიზნესებს მათთვის დაფინანსებაზე წვდომის გაუჭობესებით ევროპასა და ევროპის გარეთ რიგ ქვეყნებში. ევროპის საინვესტიციო ფონდი ახორციელებს ვენჩერული და ზრდის კაპიტალის, გარანტიებისა და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტების შემუშავებასა და შექმნას ინოვაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

© ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2020
ფოტოები: GettyImages, Shutterstock

დაბეჭდილია Condat Silk FSC Mix-ის ქაღალდზე. ევროპის საინვესტიციო ბანკი იყენებს ქაღალდს, რომელიც სერტიფიცირებულია სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ. ვინაიდან ის დამზადებულია ხეებზე მზრუნველი ხალხის მიერ.

დაბეჭდილია Imprimerie Centrale-ის მიერ

MIX
Paper from responsible sources
FSC® C103749

02/2020
print: QH-04-20-021-KA-C ISBN 978-92-861-4550-6 doi:10.2867/417546
pdf: QH-04-20-021-KA-N ISBN 978-92-861-4509-4 doi:10.2867/012637